ტვირთამწეობის დიაგრამა	ტ/მ.1	52097.0	50661.0	7680.4	8954.9	11276.4	357.2	141.0	7948.4	4054.4	633.4	213.8	158.4	968.1	4286.1
	ტ/მ.2							109.9		1067.9					
	ტ/მ.3			2785.2			357.2								
ტვირთამწეობის დიაგრამა	ტ/მ1	52097.0				11276.4			7948.4	524.9					
	ტ/მ2														
	ტ/მ3														
	ტ/მ4			4895.2											
ტვირთამწეობის ჯამური მნიშვნელობა											968.1				4286.1
															149430.4

ტვირთამწეობის გამოსახულება ტრანსპორტირების ელემენტების მონტაჟის პროცესში **C245**

ტვირთამწეობა გადაადგილების დროს

ტექ. "ნაკრები ელემენტების მონტაჟი"

ინჟინერინგ ჯგუფი
ENGINEERING GROUP

ძირითადი ტიპიური ელემენტების

ზედაპირის ფართობი	ფ.მ.3.3.2.1.1	ცვლილება N	
ზედაპირის მოცულობა	მ.3.3.1.1.1		
ზედაპირის სიმკვრივე	კგ.3.3.1.1.1	ელემენტის ტიპი	
ზედაპირის ფართობი	მ.3.3.1.1.1		
ზედაპირის მოცულობა	მ.3.3.1.1.1		
ზედაპირის სიმკვრივე	კგ.3.3.1.1.1		
ელემენტის მასა	კგ.3.3.1.1.1		
ელემენტის ტიპი			
ელემენტის ტიპი			
ელემენტის ტიპი



ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი №25, კორპ. №9 (ს/კ 01.17.01.122.008) არსებული შენობის რეკონსტრუქცია.

/საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა/

დირექტორი: /გივი იაშვილი/

ინჟინერ-გეოლოგი: /გურამ იაშვილი/

თბილისი
2020

სარჩევი

1. ჩასატარებელი კვლევების პროგრამა ---------- 3

2. შესავალი ---------- 4

3. ზოგადი ნაწილი ---------- 6

4. გეომორფოლოგია ---------- 6

5. ტექტონიკა ---------- 6

6. სეისმურობა ---------- 6

7. ჰიდროგეოლოგიური პირობები ---------- 7

8. კლიმატი ---------- 8

9. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ---------- 9

10. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 12

11. გამოყენებული მასალები ---------- 14

12. ლითოლოგიური სვეტები ---------- 15

13. გეოლოგიური ჭრილი ---------- 16

14. ტოპოგეგმა ---------- 17

15. ფოტომასალა ---------- 18

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

1. ობიექტის დასახელება – ორსართულიანი (სარდაფის სართულით) შენობის რეკონსტრუქცია;
2. დამკვეთი – შ.პ.ს. "სებო დოტო პარტნიორები";
3. ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზ. №25, კორპ. №9, (ს/კ 01.17.01.122.008);
4. დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;
5. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II;
6. ობიექტის ტექნიკური დახასიათება – 2 სართულიანი შენობა (+ სარდაფის სართული), მართკუთხა კონფიგურაციის;
7. საძირკვლის სავარაუდო ტიპი – ლენტური;
8. ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შენობების რეკონსტრუქციის პირობების შესწავლის მიზნით;
9. საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში წარმოდგენილი იქნას სამ ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია;

პროექტის მთავარი კონსტრუქტორი:

ჩასატარებელი კვლევების პროგრამა

წინამდებარე მიწერილობა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის); პ.ნ. 02.01-08 (შენობა-ნაგებობების ფუძეები); პ.ნ. 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა); ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები); ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები); სახსტანდარტი 25100-95 (გრუნტების კლასიფიკაცია); სან. წ. და ნ. 1.1.001-03 (საქ. სანიტარული ნორმები და წესები) და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევების მიზანი: ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზ. №25, კორპ. №9, არსებული შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიროგეოლოგიური პირობების გამოკვლევა.

დასახული ამოცანის შესასრულებლად უნდა შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

სამშენებლო მოედანზე გაყვანილ უნდა იქნას სათანადო სიღრმის 3-4 შურფი არსებული სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით; სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნას ნიმუშები ლაბორატორიული კვლევებისათვის ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის მოთხოვნებით; ლაბორატორიული კვლევებისთვის შერჩეულ იქნას არანაკლებ 2 ნიმუში; გრუნტის წყლის გამოვლენის შემთხვევაში აღებულ იქნას წყლის სინჯი;

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შედგეს ტექნიკური ანგარიში და აიკინძოს 3 ეგზემპლარად, ელექტრონული ვერსია.

დირექტორი, გეოლოგიის აკად. დოქტორი: /... ...ვილი/

1. შესავალი

შ.პ.ს. "სებო დიტო და პარტნიორები" დაკვეთის საფუძველზე, 2020 წლის მარტში, შ.პ.ს. "გეო-ძიება 2013"-ის გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები – ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის გამზ. №25, კორპ. №9;

კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს – შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მოედნის გეოლოგიური აგებულების და ჰიდრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა.

სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა, ინჟინერ-გეოლოგი გურამ იაშვილი.

ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები:

- მოძიებულია და გამოყენებულია საფონდო მასალები;
- უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერდა მიმდებარე ტერიტორია;
- ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილ იქნა 2 შურფი და 2 შურფ-ჭაბურღილი – საერთო სიღრმით 8.0გრძ/მ;
- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა 4 ნიმუში ლაბორატორიული კვლევებისათვის;
- საკვლევ ობიექტზე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა;
- საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ შურფები ამოივსო ამოღებული მასალით;
- განსაზღვრული იქნა:
  1. გრუნტის ტიპი;
  2. ფიზიკური თვისებები;
  3. მექანიკური მახასიათებლები;
- საველე სამუშაოების და საფონდო მასალების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა.

კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად:

- ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – "საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
- პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- პ.ნ. 01.01.09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
- ს.ნ. და წ. IV-5-82 – "მიწის სამუშაოები";
- ს.ნ. და წ. 02.01-87 – "მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
- სახსტანდარტი 25100-95 – "გრუნტების კლასიფიკაცია";
- სან. წ. და ნ. 1.1.001-03 – "საქ. სანიტარული ნორმები და წესები";

მიღებული შედეგები წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ანგარიშის სახით, სადაც გარდა ტექსტური ნაწილისა, მოცემულია:

- გეოლოგიური ჭრილები;
- ლითოლოგიური სვეტები;
- ტოპოგეგმა;
- ფოტომასალა;

2. ზოგადი ნაწილი

საკვლევი ტერიტორია განთავსებულია – ქ. თბილისი, ისნის რაიონი, ქ. წამებულის გამზირზე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 419მ-ზე.

გეომორფოლოგიური – თვალსაზრისით ის წარმოადგენს მდ. მტკვრის ტერასას, იგი ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზეა განთავსებული, ოდნავი დახრით აღმოსავლეთისაკენ.

ტექტონიკური – თვალსაზრისით ტერიტორია მოთავსებულია კრწანისის სინკლინის სამხრეთ ფრთის და თელეთის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთის გარდამავალ ზონაში და აგებულია ზედა ეოცენის ასაკის ქვიშაქვებით. ქვიშაქვები დია ნაცრისფერი, რუხი, ალაგ-ალაგ მოცისფრო, თიხოვან ცემენტზე, წვრილი და საშუალო მარცვლოვანი, თხელშრეებრივი. ზემოთაღნიშნული ლითოლოგიური სახესხვაობები დაფარულია ტექნოგენური გრუნტით.

სეისმურობა – საკვლევი ტერიტორია (სამშენებლო მოედანი) მდებარეობს ასპინძა-თბილისის მორფოსტრუქტურული ერთეულის ზონაში, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამკვეთი ტექტონიკური რღვევებით. ზონა განლაგებულია მაღალი სეისმური რისკის არეალში. საქართველოს მაკრო-სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი ინტენსივობის მიწისძვრების გავრცელების ზონაში.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით, მაღალი მაგნიტუდის მიწისძვრებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი და გავლენა იქონიონ რელიეფის მორფოდინამიკაზე, არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, როგორც ისტორიულ, ასევე უახლოეს წარსულში.

არსებული სტატისტიკური მონაცემებით თბილისში 6-7 ბალიანი მიწისძვრები მომხდარა – 1283, 1318, 1803, 1827, 1859, 1909, 1920 და 2002 წლებში. XX საუკუნეში მომხდარი მიწისძვრების მიხედვით მიწისქვეშა ბიძგების ხანგრძლივობა 2.1–3.6წმ-მდე მერყეობს.

სეისმური ტალღების გავრცელების ხასიათი და მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია ტექტონიკური რღვევითი სტრუქტურების განლაგებაზე.

სეისმური ტალღების გავრცელების გაბატონებული მიმართულება (სუბგანედური) ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ -აღმოსავლეთურია.

მიწისძვრებით გამოწვეული გეოდინამიკური ცვლილებები ყველაზე მეტად გამოხატულია ტექტონიკურ რღვევებს შორის განლაგებულ მორფოსტრუქტურულ ბლოკებში, სადაც დღესაც გრძელდება პულსაციური (როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი) მოძრაობები.

ჰიდროგეოლოგიური პირობები – სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორიები საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე 1970წ) მოქცეულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის, თბილისის წყალწნევიანი სისტემის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდროგეოლოგიურ რაიონში. საკვლევ უბანზე და მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჰიდროგეოლოგიური ერთეული:

–შუა და ზედა ოლიგოცენის და ნეოგენური ასაკის ვულკანოგენური დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსი;

–მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსი;

შუა და ზედა ოლიგოცენისა და ნეოგენური ასაკის წარმონაქმნებში გრუნტის წყლები ძირითადად ნაპრალოვანი ტიპისაა. მათი ცირკულაციის სიღრმე დამოკიდებულია ძირითად ქანებში განვითარებული ნაპრალთა სისტემის სიღრმეზე და ხარისხზე.

ნაპრალოვანი გრუნტის წყლების მინერალიზაცია მერყეობს 2.5–8.2გ/ლ-მდე. ყველა წყალი თითქმის სულფატურია. კათიონებიდან მონაწილეობას იღებენ Ca და Mg, იშვიათად Na. მინერალიზაციის პროცენტის მომატებასთან ერთად ფიქსირდება ნატრიუმის იონების ზრდა. ნალექები მცირე წყალშემცველობით ხასიათდებიან და წყლების ცირკულაცია ძირითადად ხდება ღრმა ნაპრალთა სისტემაში.

აქედან გამომდინარე ვეყრდნობით ადრეულ წლებში გაყვანილ ჭაბურღილებში გახსნილი წყლის ჰორიზონტიდან აღებული სინჯების ლაბორატორიულ მონაცემებს.

წყლები ძირითადად სულფატურ – კალციუმიან – მაგნიუმიანი, ქლორიდულ – ნატრიუმიან – კალციუმიანია. ნაპრალოვანი გრუნტის წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 2-5გრ/ლ-მდე. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ გოგირწყალბადს.

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ თბილისის ტერიტორიაზე და მის გარეუბნებში ჩატარებული 20 მინერალური წყაროს ქიმიური ანალიზიდან ირკვევა, რომ წყაროები თავიანთი ქიმიური შედგენილობით და მინერალიზაციით, ერთმანეთისგან განსხვავებულია.

გვხვდება სულფატურ – ჰიდროკარბონატული, კალციუმიან ნატრიუმიანი, სულფატურ – კალციუმიან – მაგნიუმიანი შემადგენლობის წყლები. მათი მინერალიზაცია მერყეობს 0.4–0.8 გრ/ლ-ის ფარგლებში.

წყლის ტემპერატურა ყველა წყაროებში მერყეობს 11^0C–17^0C-მდე.

მჟავე წყლები არ ფიქსირდება.

მეოთხეულ წარმონაქმნებში მიწისქვეშა წყლები, რომლებიც ფორმირდება ალუვიურ ნალექებში, განსხვავდებიან თავიანთი ქიმიური შედგენილობით, ხასიათდებიან ამაღლებული მინერალიზაციით და სულფატურ – ნატრიუმიან – მაგნიუმიან ტიპს განეკუთვნებიან.

მინერალიზაცია მერყეობს 0.4-დან 3.0გრ/ლ-ის ფარგლებში. შედარებით დაბალი მინერალიზაციის 0.4-დან 1.0გრ/ლ-მდე წყლები სულფატურ-კალციუმიან-მაგნიუმი.

– **კლიმატი** – საკვლევი უბნის კლიმატური მონაცემები აღებულია საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმებიდან – პ.ნ. 01.05.08.

საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება IIIგ ქვერაიონს.

ისნის რაიონის ჰავას, როგორც ქ. თბილისის მეტეოსადგურის დაკვირვებები გვიჩვენებს, ახასიათებს:

– საშუალო წლიური ტემპერატურა – 11.5^0;
– ტემპერატურის აბს. მინიმუმი – -24^0;
– აბს. მაქსიმუმი – +40^0;
– ტემპერატურის საშ. წლიური ამპლიტუდა – 10.0^0;
– ატმოსფერულ ნალექთა წლიური ჯამი – 550მმ;
– ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი – 143მმ;
– ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა – 67%-მდე;

რაიონში გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები.

– მაქსიმალურმა სიჩქარემ შესაძლოა – 37მ/წმ-ს მიაღწიოს;
– თოვლის საფარის წონა – 0.50კპა;
– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;
– საკვლევ რაიონში გავრცელებული გრუნტებისთვის გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0;

3. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

/სპეციალური ნაწილი/

ჩვენს მიერ საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისას გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი (Q_{IV});

2. ს.ბ.ე. 1 – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები (P_2^3);

– **ნაყარი** – (ტექნოგენური) გრუნტი(Q_{IV}) – გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე, წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით ფენის სიმძლავრე 0.7მ-ს არ აღემატება.

ნაყარი გრუნტი არ წარმოადგენს ფუძე-გრუნტს და ამიტომ ის არ იქნა გამოყოფილი, როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი.

გრუნტების მახასიათებლები აღებულია ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ს ცხრილებიდან და საცნობარო ლიტერატურიდან:

გრუნტის სიმკვრივე – 1,8კგ/სმ^3;

შინაგანი ხახუნის კუთხე – -18^0;

ხვედრითი შეჭიდულობა – C=0.1კგძ/სმ^2;

დეფორმაციის მოდული – E=50კგძ/სმ2;

საანგარიშო წინაღობა – R$_0$=0.8კგძ/სმ2;

დამუშავების სიძნელის მიხედვით ს.ნ. და წ. IV-5-82-ის ცხრილის თანახმად გრუნტი განეკუთვნება II კატეგორიას;

– **ს.ბ.ე. 1 – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა** – საკვლევ მოედანზე გავრცელებულია მიწის ზედაპირიდა 0.4მ-დან. ამ ფენაში გვხვდება ნაპრალები, მაგრამ ნაპრალს შორის გრუნტებს შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე.

ქვიშაქვები შემადგენლობით ძირითადად არკოზიულია. მათი ცალკეული მარცვლები შეცემენტებული თიხური ნაწილაკებია, ამიტომ მათ ხშირად ფენიან ქვიშაქვებს უწოდებენ. ურევიათ მცირე რაოდენობის კვარცის და სილერიტის მარცვლები. ნაპრალიანობით არ ხასიათდება.

იმისთვის, რომ დავადგინოთ სუსტად გამოფიტული ქვიშაქვების ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, შერჩეულ იქნა 4 ნიმუში და ის განსაზღვრულ იქნა ლაბორატორიულ პირობებში, ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულებაზე. შედეგები მოცემულია ცხრ. №1-ში:

ცხრილი №1

№	ნიმუში	ჭაბ. №	აღების სიღრმე	ბუნებრივი სიმკვრივე გ/სმ³	R_c კგ/სმ²		დარბილების კოეფ.
					ბუნებრ.	წყალგაჯ.	
1	ქვიშაქვა	1	0.9	2.10	178	153	0.83
2	ქვიშაქვა	2	1.4	2.10	180	155	0.84
3	ქვიშაქვა	3	1.0	2.20	180	156	0.85
4	ქვიშაქვა	4	1.7	2.20	182	157	0.86

როგორც შედეგებიდან ჩანს ქვიშაქვები მიეკუთვნება არადარბილებად გრუნტებს.

დამუშავების სირთულის მიხედვით აღნიშნული ფენა ს.ნ. და წ. IV-2-82წ. ცხრ. №1-1-ის მიხედვით მიეკუთვნება - VI კატეგორიას.

4. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ადმინისტრაციულად სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქალაქ თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირზე, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ზღვის დონიდან 419მ-ზე;

2. საკვლევი მოედანი გეომორფოლოგიურად წარმოადგენს ხელოვნურად მოსწორებულ ადგილს. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის არსებული შენობის ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის;

3. საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით (ი. ბუაჩიძე - 1970წ.) სამშენებლო მოედანი მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისის წყალწნევიანი ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ჰიდრო-გეოლოგიურ რაიონში;

4. სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება IIIგ ქვერაიონს;

5. საინჟინრო გეოლოგიური სირთულის მიხედვით საკვლევი მოედანი სამშენებლო ნორმებით 1.02.07.87წ. დანართი 10-ის მიხედვით მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას;

6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი შემდეგნაირია:

- **ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი (Q_{IV});**
- **ს.ბ.ქ. 1 – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა (P_2^3);**

7. გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა;

8. შენობის ფუძე გრუნტს წარმოადგენს – **ს.ბ.ქ. 1** – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა, რომლის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე სველ მდგომარეობაში შეადგენს:

$$R_ჯ = 153_{კგ/სმ^2};$$

9. ქ. თბილისი საქ. სეისმური ნორმებით – პ.ნ. 01.01.09 "სეისმომედეგი მშენებლობა" – სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას.

უგანზომილებო A კოეფიციენტი შეადგენს 0.17-ს.

უბნის ამგები გრუნტები იმავე კრებულის ცხ. №1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან I კატეგორიას. ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებულია 7 ბალი;

10. დამუშავების სიძნელის მიხედვით, საკვლევი გრუნტები სამშენებლო ნორმებით IV-2-82წ. ცხრ1-1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან:

- ნაყარი – II ჯგ;
- სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა – V ჯგ;

11. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს:

ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11; 3.12; 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით;

ინჟინერ-გეოლოგი: /ზურაბ თაშვილი/

გამოყენებული მასალები

❖

"საქ. ფიზიკური გეოგრაფია" – თბილისი, 1964წ. – ლ. ი. მარუაშვილი;

"Геоморфология Грузии" – Тбилиси, 1971г. – И. С. Корошинадзе, Б. А. Гергедава;

"ქ. თბილისის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები" – გ. ჯაფარიძე;

"საქ. ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემა", 1970წ. – ი. ბუაჩიძე;

"საქ. ტექტონიკური დარაიონების სქემა", 2000წ. – ე. გამყრელიძე;

❖

• ს.ნ. და წ. 1.02.07-87წ – "საინჟინრო ძიება მშენებლობისათვის";

• პ.ნ. 01.01-09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";

• პ.ნ. 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";

• პ.ნ. 02.01-08 – "შენობა-ნაგებობების ფუძეები";

• ს.ნ და წ. IV-5-82 – "მიწის სამუშაოები";

• სახსტანდარტი 25100-95 – "გრუნტების კლასიფიკაცია";

შურფი №1

მასშტაბი 1:50



პირობითი ნიშნები

აგურის კედელი (მზიდი)

ნაყარი გრუნტი

ყორექვის საძირკველი

სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა

■ - ნიმუშის აღების ადგილი

შურფი №3

მასშტაბი 1:50



პირობითი ნიშნები

აგურის კედელი (ტიხარი)

ნაყარი გრუნტი

აგურის საძირკველი

სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა

■ - ნიმუშის აღების ადგილი

დაწყების თარიღი: 18.03.2020 დასრულების თარიღი: 18.03.2020					შურფი №.: 2 აბს. ნიშნული: Z - 418.8		
ნიმუში/ადგილზე ტესტირება					შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	სტ №			
0.0					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი;	0.4	
1.0	1.2 - 1.4	D	1	1	სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა;	2.0	
2.0							
3.0							
4.0							
5.0							
შენიშვნები:					ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ): ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):	ინჟინერ გეოლოგი: გ. იაშვილი	
შ.პ.ს "გეო-ძიება 2013"					პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №25, კორპ. №9-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.122.008 არსებული შენობის რეკონსტრუქცია. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.	ნახაზი №.: 2.1	

დაწყების თარიღი: 18.03.2020 დასრულების თარიღი: 18.03.2020					შურფი №.: 4 აბს. ნიშნული: Z - 418.8		
ნიმუში/ადგილზე ტესტირება					შრის აღწერა	სიღრმე/სიმაღლე (მ)	ლითოლოგიური სიმბოლო
ჭაბურღილის სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	სტ №			
0.0					მიწის ზედაპირი	0.0	
					ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი;	0.7	
1.0	1.5 - 1.7	D	1	1	სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა;	2.0	
2.0							
3.0							
4.0							
5.0							
შენიშვნები:					ჭაბურღილში გრუნტის წყლის დამყარების დონე (მ): ჭაბურღილში გრუნტის წყლის გამოვლენის დონე (მ):	ინჟინერ გეოლოგი: გ. იაშვილი	
შ.პ.ს "გეო-ძიება 2013"					პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №25, კორპ. №9-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.122.008 არსებული შენობის რეკონსტრუქცია. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.	ნახაზი №.: 2.2	

ლითოლოგიური ჭრილი I-I'

მასშტაბი ვერტ. 1:50
ჰორიზ. 1:100



პირობითი აღნიშვნები

ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი;

1 სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა;

TP
1 შურფის ნომერი და სიღრმე

შპს „ბეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №25, კორპ. №9-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.122.008 არსებული შენობის რეკონსტრუქცია. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	3	1	1
ლითოლოგიური ჭრილი I-I'	ნახაზი № 1		
მასშტაბი: ვერტიკალური 1:50; კოორდინატული 1:100			

ლითოლოგიური ჭრილი II-II'

მასშტაბი ვერტ. 1:50
ჰორიზ. 1:100



პირობითი აღნიშვნები

ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი;

1 სუსტად გამოფიტული ქვიშაქვა;

TP 1 შურფის ნომერი და სიღრმე

შპს „ბეო-ძიება 2013"			
პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №25, კორპ. №9-ში, მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.01.122.008 არსებული შენობის რეკონსტრუქცია. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.	სტადია	შურცელი	შურცლები
	პ	1	1
ლითოლოგიური ჭრილი II-II'	ნახაზი № 2		
მასშტაბი: ვერტიკალური 1:50 ჰორიზონტალური 1:100			

"N.M.T."
projektierung-vermessungs firma

"ენ-ემ-ტი"
სპეციალიზებული საპროექტო-საგეოდეზიო ფირმა

ქ.თბილისი, ტ. 395

ტელ: 2934026

N
W E
S

485000
4615350



ტოპო-გეოდეზიური ანაზომი

დამკვეთი		დირექტორი	ნ. შახოვი	
მისამართი	ქ. ვაჟა-ფშაველის გამზირი სახლი №25 და 29-ის შორის	დამშენებელი	ა. ახვლედიანი	
ს/კ №01.17.01.122.017		მასშტაბი 1:500	თარიღი 28.05.2019	

პირობითი აღნიშვნები

შენიშვნა:

ფოტომასალა
P h o t o s



Photo 1.



Photo 2.



Photo 3.



Photo 4.



Photo 5.



Photo 6.



Photo 7.



Photo 8.

ფოტომასალა
P h o t o s



Photo 9.



Photo 10.



Photo 11.



Photo 12.



Photo 13.



Photo 14.



Photo 15.



Photo 16.

<u>საექსპერტო შეფასება</u>

ანგარიშზე: “ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის №25, კორპ. №9-ში, (ს/კ 01.17.01.122.008), არსებული შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

შპს “სებო დოტო პარტნიორები”-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2024 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის №25, კორპ. №9-ში, (ს/კ 01.17.01.122.008), არსებული შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის №25, კორპ. №9-ში, (ს/კ 01.17.01.122.008), არსებული შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეო ძიება 2013”-ის გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2020 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი – გურამ იაშვილი. მის მიერ მოძიებული და დამუშავებულია არსებული ფონდური მასალა და წყაროები. ჩატარებულია საველე სამუშაოები, ხოლო ლაბორატორიული კვლევები შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების მიმართულების ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 10 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. კვლევების პროგრამა..... 1 გვ;
4. ლითოლოგიური სვეტები ..... 3 გვ;

5. გეოლოგიური ჭრილები ..... 2 გვ;
6. ტოპოგეგმა ჭაბურღილების ადგილმდებარეობის დატანით ..... 1 გვ;
7. ფოტომასალა ..... 16 ფოტო.

პროექტით, საკვლევ მოედანზე, გათვალისწინებულია არსებული ორსართულიანი, სარდაფით შენობის რეკონსტრუქცია. შენობა, მართკუთხა კონფიგურაციისა, საძირკვლის სავარაუდო ტიპი ლენტური. ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ხელბურღის მეშვეობით გაყვანილია 2 შურფი და 2 შურფ-ჭაბურღილი, საერთო სიღრმით – 8.0გრძ/მ. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად სამთო გამონამუშევრებიდან აღებულია 4 ნიმუში, რომლებზეც ჩატარებულია შესაბამისი კვლევები.

საკვლევი უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მიეკუთვნება მდ. მტკვრის ტერასას, იგი ხელოვნურად მოსწორებულ მოედანზეა განთავსებული, ოდნავი დახრით აღმოსავლეთისაკენ, ზღვის დონიდან 419 მ. სიმაღლეზე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, როგორც წარმოდგენილი სვეტებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

1. **ფენა-1 - ნაყარი (ტექნოგენური გრუნტი)** – არ მონაწილეობს ფუძე-გრუნტის მოწყობაში და ამიტომ, ის არ იქნა გამოყოფილი როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი. ფენის სიმძლავრე 0.7მ-ს არ აღემატება. ნაყარი გრუნტის მახასიათებლები აღებულია საცნობარო ლიტერატურიდან:
   - გრუნტის სიმკვრივე – 1.8კბ/სმ^3;
   - შინაგანი ხახუნის კუთხე – -18^0;
   - ხვედრითი შეჭიდულობა – C=0.1კბძ/სმ^2;
   - დეფორმაციის მოდული – E=50კბძ/სმ^2;
   - საანგარიშო წინაღობა – R_0=0.8კბძ/სმ^2;

2. **ფენა - 2 - სბე I – სუსტად გამოფიტული ქვიშაქვები -** გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 0.4მ-დან გამოკვლეულ სიღრმემდე. ფენაში გვხვდება ნაპრალები, მაგრამ ნაპრალებს შორის გრუნტებს შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი სახე.

- გრუნტის სიმკვრივე – 2.15კბ/სმ^3;
- წინაღობის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში – $R_კ$=153კბძ/სმ^2;

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება. საძირკვლების გაშიშვლებით დადგენილია, რომ საძირკვლები ყორექვისაა, ლენტური ტიპის და მასზე დეფორმაციის კვალი არ შეინიშნება, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ საკვლევ ობიექტზე, დაძიებულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ გამოვლენილა (მარტი, 2020წ).

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17. უბნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებით, მიეკუთვნება – I კატეგორიას. ამიტომ, უბნის სეისმურობად მიღებულია – 7 ბალი.

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების ზონირების ინტერაქტიული რუკის მიხედვით მდებარეობს დაბალი და საშუალო რისკის შემცველ ზონაში. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შენობის რეკონსტრუქციას და მის შემდგომ ექსპლოატაციას მოსალოდნელი არ არის. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, უბანი მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

დასკვნა

ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის №25, კორპ. №9-ში, (ს/კ 01.17.01.122.008), არსებული ორსართულიანი, სარდაფით შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს

საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს რეკონსტრუქციის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო ი. მშვიდობაძე
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	**გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა.**საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:** "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020.**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. ალებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board (Protocol № 3 of 28.05.2003) 04 06 №5

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан

в том, что он в 19 79 году поступил в

и в 19 84 году окончил по курсу

по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П. Город 19 84 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Госзнака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<